დამტკიცებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს
2025 წლის 27 თებერვლის სხდომაზე (ოქმი N 3)

სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის (დისერტაციის მაცნე)

გაფორმებისა და წარდგენის წესი

დისერტაციის მაცნე წარმოადგენს სადისერტაციო ნაშრომის მოკლე ვერსიას.

დისერტაციის მაცნე უნდა ასახავდეს დისერტაციის ყველა კომპონენტს და უნდა იძლეოდეს ნაშრომის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას.

წარდგენის წესი

დოქტორანტურის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დასრულების შემდეგ დოქტორანტი სადისერტაციო ნაშრომთან ერთად ფაკულტეტზე წარადგენს დისერტაციის მაცნეს ელექტრონული სახით (Word, PDF) და მის ერთ ამობეჭდილ ეგზემპლარს.

- ✓ ამ ეტაპზე წარმოდგენილი დისერტაციის მაცნეში არ/ვერ იქნება მითითებული დისერტაციის რეცენზენტები, დაცვის თარიღი და ადგილი. აღნიშნული ინფორმაცია დისერტაციის მაცნეში აისახება დაცვის თარიღის დამტკიცების შემდეგ.

დისერტაციის მაცნე წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე;

ნაშრომის უცხო ენაზე შესრულების შემთხვევაში (რასაც წყვეტს ფაკულტეტის საბჭო), სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

ქართულ, ინგლისურ და პროგრამის განხორციელების ენებზე წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის ტექსტი უნდა იყოს იდენტური და უცხოელ რეცენზენტს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აძლევდეს ნაშრომის სრულფასოვნად შეფასების საშუალებას.

ფაკულტეტის საბჭოს მიერ დაცვის თარიღის განსაზღვრის შემდეგ დოქტორანტმა უნდა წარადგინოს დისერტაციის მაცნის ბეჭდური (სულ მცირე, 4 ეგზემპლარი) და ელექტრონული ვერსია (PDF ფაილი), რომელიც ეგზავნება დაცვის კომისიის წევრებს, პროფილურ დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს და განთავსდება უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ვებგვერდზე. მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული დისერტაციის რეცენზენტების ვინაობა, დისერტაციის დაცვის თარიღი და ადგილი.

დისერტაციის მაცნეში უნდა აისახოს:

- სადისერტაციო თემის აქტუალობა;
- კვლევის სიახლე;
- კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები;
- კვლევის მეთოდოლოგია;
- სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა (გვერდების რაოდენობა, თავების/ქვეთავების რაოდენობა, თავების/ქვეთავების სათაურები, ინფორმაცია დანართის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- ნაშრომის ძირითადი შინაარსი (შესავალი, ყოველი თავის მოკლე შინაარსი და ძირითადი დასკვნები);

- კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა /რეკომენდაციები (არსებობის შემთხვევაში);
- ავტორის მიერ დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი;
- დისერტაციის მაცნის ქართულ ვერსიას უნდა უძღოდეს მოკლე აბსტრაქტი ქართულ ენაზე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 500 სიტყვას;
- დისერტაციის მაცნის ინგლისურ ვერსიას უნდა უძღოდეს მოკლე აბსტრაქტი ინგლისურ ენაზე, რომელიც უნდა იყოს ქართული აბსტრაქტის იდენტური და ერთოდეს ძირითადი ბიბლიოგრაფიის სია (დალაგებული ინგლისური ანბანის რიგზე).

სადისერტაციო ნაშრომის შემოკლებული ვერსიის/დისერტაციის მაცნის ფორმატი და ტექნიკური გაფორმება:

დისერტაციის მაცნის ბეჭდური ვერსია უნდა იყოს აკინძული და ყდაში ჩასმული[1].

- **ქაღალდი** - თეთრი;
- **ფორმატი** - A5;
- **გვერდების რაოდენობა** - ქართულ ენაზე **არაუმეტეს 70 გვერდისა;**
- **შრიფტი** – უნიკოდი (Sylfaen); შრიფტის ზომა – სათაურებისთვის - 12; ტექსტისთვის -11; ბიბლიოგრაფიისთვის -10;
- **სტრიქონებს შორის მანძილი** - 1.15 - ტექსტისთვის; 1.0 - ბიბლიოგრაფიისთვის;
- **გვერდის საზღვრები:** მარცხნიდან და მარჯვნიდან 2 სმ; ზემოდან და ქვემოდან 2 სმ;
- **კინძვა** - ბროშურის ტიპის;
- **გვერდების ნუმერაცია** - იწყება პირველი გვერდიდან;
- **დისერტაციის მაცნის ყდა/თავფურცელი/სატიტულო ფურცელი** –
    - გვერდის ზედა ნაწილში ქართულ და ინგლისურ ენებზე იწერება უნივერსიტეტის სრული დასახელება, ფაკულტეტი;
    - შუა ნაწილში: დისერტანტის სახელი და გვარი, თემის სათაური და ინფორმაცია იმის შესახებ, დოქტორის აკადემიური ხარისხის რომელ დარგში მოსაპოვებლად არის სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილი;
    - სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი;
    - თავფურცელზე აღნიშნული უნდა იყოს, რომ დისერტაციის მაცნე ქვეყნდება ხელნაწერის უფლებით;
    - მიეთითება წელი და დაბეჭდვის ადგილიც.
- **სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე** იწერება:
    - სადისერტაციო ნაშრომის შესრულების ადგილი (უნივერსიტეტი, ფაკულტეტი, ინსტიტუტი);
    - სამეცნიერო ხელმძღვანელს სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი;
    - რეცენზენტების სახელი, გვარი და სამეცნიერო ხარისხი (ჩაიწერება დამტკიცების შემდეგ);
    - სად და როდის შედგება სადისერტაციო ნაშრომის დაცვა, დაცვის თარიღი, მისამართი (ჩაიწერება დამტკიცების შემდეგ).

დანართის სახით წარმოდგენილია დისერტაციის მაცნის ყდის/თავფურცლის/სატიტულო გვერდის გაფორმების ნიმუშები (იხ. ქვემოთ) .

---

[1] აკინძვა და ყდაში ჩასმა არ სჭირდება დისერტაციის მაცნის იმ ვერსიას, რომელსაც დოქტორანტი დისერტაციასთან ერთად პირველად წარადგენს ფაკულტეტზე.

ყდის/ სატიტულო ფურცლის გაფორმების ნიმუში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი/Faculty of Humanities

ხელნაწერის უფლებით

Manuscript copyright

დოქტორანტის სახელი, გვარი

(ქართულ და ინგლისურ ენებზე)

ნაშრომის სათაური

(ქართულ და ინგლისურ ენებზე)

_____დოქტორის (PhD) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაციის მაცნე/ Synopsis

of the Dissertation Submitted in Fulfillment of the Requirements for

the Degree of Doctor of Philosophy in _____

სამეცნიერო ხელმძღვანელი/Academic Supervisor:

(სახელი გვარი, სამეცნიერო ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენებზე)

თბილისი/Tbilisi

წელი

სატიტულო ფურცლის მეორე გვერდის ნიმუში[2]

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილი სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ---------- ინსტიტუტში

სადოქტორო პროგრამა: ----------

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სახელი გვარი, ხარისხი, წოდება

რეცენზენტები:

1. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება

2. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება

3. სახელი, გვარი, ხარისხი, წოდება (არსებობის შემთხვევაში)

დისერტაციის დაცვა შედგება **20__წლის ___ _____, ___საათზე,** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო ნაშრომის დაცვის კომისიის სხდომაზე

მისამართი: 0179, თბილისი, ილია ჭავჭავაძის № , ____ აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ-ს ბიბლიოთეკაში;

დისერტაციის მაცნე გამოქვეყნებულია თსუ-ს ვებგვერდზე (https://www.tsu.ge)

[2] დისერტაციის მაცნის ინგლისური ვერსიის დასაწყისში მეორდება ინგლისურ ენაზე შედგენილი თავფურცელი და სატიტულო ფურცლის მეორე გვერდი.

The Dissertation was completed at (*name of the Institute*) of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Doctoral Program: ----------

Academic Supervisor: *Name, Surname, Degree, title*

Reviewers:

1. *Name, Surname, Degree, Title*

2. Name, Surname, Degree, title

3. Name, Surname, Degree, title

The Dissertation defence will be held on _____*Day*_ _____*Month*_____, *Year*_____, at _____ o'clock, at the session of the Dissertation Defense Committee of the Faculty of Humanities, Ivane Javakhishvili Tbilisi State University.

Address: 0179, Tbilisi, № ---- Ilia Chavchavadze, Room №. _____

The Dissertation can be viewed at the TSU library

The synopsis of the Dissertation was published on the TSU website. (https://www.tsu.ge)